ასლ

ასლია. ერთ. ს ნ. ბ

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
03.02.2011 N 8
თბილისი

სტუდენტთა მიერ
საგანმანათლებლო პროგრამის
შეცვლის შესახებ

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან გამოცხადებულ სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი განათლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის (სპეციალობის) შეცვლის მსურველთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის (დანართი 1) მიღება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდეს 2011 წლის 4 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77. ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული ოთახი N350);
2. სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი. ქ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე), მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 18 თებერვლისა;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი. ქ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე), ამ ბრძანების მე-4 პუნქტის

რეალიზაციისთვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით.

6. 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ბრძანების მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არაუგვიანეს 2011 წლის 21 თებერვლისა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ–ს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

რექტორის მოადგილე სწავლების დარგში
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი.ლომიძე

იურიდიული დეპატრამენტის უფროსი
ბ.მაისურაძე

დანართი 1

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

(სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:		
სახელი და გვარი:		
სტუდენტის პირადი ნომერი:		
განათლების საფეხური:	❑ პროფესიული უმაღლესი	❑ ბაკალავრიატი
	❑ მაგისტრატურა	❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები ფაკულტეტის შესახებ:	
გამომშვები ფაკულტეტის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	მიმღებ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა

❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

დანართი 3

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0-დან 45–მდე 45-დან 120–მდე 120–დან 195–მდე 195–დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი) მეოთხე (მერვე სემესტრი)
პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის	
0-დან 60–მდე 60-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი)
მაგისტრატურა	
0-დან 75–მდე 75-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი)
დოქტორანტურა	
0-დან 60–მდე 60-დან 135–მდე 135-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი)